## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N242

ქ. თბილისი 10.11.2020 წელი

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სან. ტექ. სერვისი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის როინ რეხვიაშვილის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT200014965** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
2.5. „მიმწოდებელი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

### 3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 45400000);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცვაში, რომელიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 140 999.68 (ას ორმოცი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 68 თეთრი) ლარს;
4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - მაია სვანიძე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომელ(ებ)ი;
5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშოების მიღება-ჩაბარება წარმოებს სამუშაოების დასრულების შემდგომ ორმხრივად ხელმოწერილი ფორმა #2-ის საფუძველზე, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების შემთხვევაში - ექსპერტიზის დადებით დასკვნის გათვალისწინებით. ფორმა #2 წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს სამუშაოების შესრულებას და რომელიც შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერილია უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ;
6.2. მშენებლობის დასრულების დამადასტურებელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს შორის ხელისმოწერით მოწმდება წარმოდგენილი ფორმა#2-ის/ების საფუძველზე და მათზე სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.
6.3 იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზისთვის წარდგენილი ფორმა #2(ების) მიხედვით შედგენილი (წარმოდგენილი) ექსპერტიზის დასკვნა გულისხმობს ფორმა #2(ების) კორექტირებას, საბოლოო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი საბოლოო მიღება-ჩაბარების საფუძველს წარმოადგენს კორექტირებული ფორმა #2 (ები). ასეთ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ფაქტიური მოცულობა და ჯეროვნება დადგინდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დგება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე კორექტირებული ფორმა #2 შესაბამისად.
6.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - ალექსი ლოლიშვილი;

## 7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და გარანტია

7.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღე (არაუგვიანეს 2021 წლის 08 თებერვლისა);
7.2 დრო, რომელიც ესაჭიროება შემსყიდველს ექსპერტიზის განსახორციელებლად არ ჩაითვლება სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადებში (ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი). ამასთან ექსპერტის მიერ შესრულებულ სამუშაოში ხარვეზის/შეუსრულებლობის დადგენის შემთხვევაში, ექსპერტიზის მიმდინარეობის ვადა მიეთვლება ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას და დაერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02% ოდენობით. ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, გამოსწორებულ ხარვეზზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი (ექსპერტიზა ჩატარებული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ). სამუშაო გამოსწორებული უნდა იყოს სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.
7.3 სამუშაოების შესრულების ადგილი: ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №6 და ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №6;
7.4 საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - 3 (სამი) წელს; საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მხრიდან ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ხარვეზის, გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას, სამუშაოების სირთულის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრულ ვადაში.

## 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
8.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
8.3. დაფინანსების წყარო: 2020-2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;
8.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულების 80% მიმწოდებელს აუნაზღაურდება მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე ფორმა #2-ის მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად;
შენიშვნა:
იმ შემთხვევაში, თუ სამუშოები არ დასრულდება 2020 წლის 21 დეკემბრამდე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50% ოდენობით (შემსყიდველის 2020 წლის სახსრები). ავანსის უზრუნველყოფის საბანკო

გარანტია შემსყიდველს წარედგინება არაუგვიანეს 2020 წლის 24 დეკემბრისა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით. ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 70 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადას. ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი (აღნიშნულ მითითებას უნდა შეიცავდეს საბანკო გარანტიის ტექსტი) და გაცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. ავანსი მიმწოდებელს გადაერიცხება წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე ფორმა N2-ის მხარეთა მიერ ხელმოწერის შედეგად, მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფორმა N2-ით დაფიქსირებული სამუშაოების ღირებულების 80% (2020 წელს გაცემული ავანსის ჩათვლით). შესრულებული სამუშაოების (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი) ჯამური ღირებულების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) დადებითი დასკვნისა და მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღეში;

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები დასრულდება 2020 წლის 21 დეკემბრამდე, მიმწოდებელს აუნაზღაურდება შესრულებული სამუშაოების 80%, (მაგრამ არაუმეტეს შემსყიდველის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებისა). 80%-მდე დარჩენილი ნაწილი (არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურდება 2021 წლის 15 იანვრამდე. შესრულებული სამუშაოების (ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი) ჯამური ღირებულების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) დადებითი დასკვნისა და მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 სამუშაო დღეში;

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - არაუმეტეს 70 499.84 ლარი;

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი - არაუმეტეს 70 499.84 ლარი;

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილება

9.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების გადასინჯა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;
ბ) იმ შემთხევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;
გ) სამუშაოები უნდა წარმოებდეს თანდართული დეფექტური აქტისა და დოკუმენტების მიხედვით;
დ) სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების წესების დაცვაზე სრულად პასუხისმგებელია მიმწოდებელი;
ე) უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული წესების დაუცველობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
ვ) სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;
ზ) სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ყოველდღიურად და სამუშაოების დასრულების შემდეგ ნარჩენების გატანას და ტერიტორიის დასუფთავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით;
თ) სარემონტო სამუშაოების საათები და პერიოდი (სამუშაო დღეებში-უქმე და დასვენების დღეების გარდა), შეთანხმდეს სასამართლოსთან;
ი) მიმწოდებელმა რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს სახურავის სპეციალური ცეცხლდამცავი სითხით დამუშავების შემდგომ, დეპარტამენტში უნდა წარმოადგინოს სერთიფიკატი (უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი), რომელშიც იქნება განსაზღვრული, გამოყენებული სითხის ხანძარმედეგობა არანაკლებ 3 წლის ვადით.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.
12.2. სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
12.3. სამუშოების შესრულების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02% ოდენობით, თითოეული დღისთვის. ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს გაფრთხილებით და განუსაზღვრავს შესაბამის სამუშაოების დასრულებისთვის გონივრულ ვადას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.
12.4. ამ მუხლის 12.3. პირობის დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არაუგვიანეს 30

კალენდარული დღისა, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს უკვე შესრულებულ სამუშაოზე საინჟინრო ექსპერტიზის განხორციელება. უკვე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, პირგასამტეხლოს თანხის გამოკლებით, მიმწოდებელს აუნაზღაურდება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შემდეგ. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.

12.5. თუ დაყოვნება ან ვადის გადაცილება არ არის დამოკიდებული მიმწოდებლის განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, ან გამოწვეულია შემსყიდველის მიერ, პირგასამტეხლო არ გამოიყენება.

12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 14.დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს
საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ს/კ 203860642
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #6

**მიმწოდებელი:**
შპს ,,სან. ტექ. სერვისი“
ს/კ 416289652.
მის: ქ. რუსთავი, მე-XX მიკრორაიონი 7-130
სს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE12TB7231736020100001
ელ. ფოსტა: santekservisi@gmail.com
ტ:. 599314555

---------------------------------------------
გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

---------------------------------------------
როინ რეხვიაშვილი
დირექტორი

რუსთავისა საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოები
ხარჯთაღრიცხვა

| | სამუშაოების დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ.ფასი | ჯამი | ერთ.ფასი | ჯამი | |
| | **მოდინებითი სისტემა რუსთავი** | | | | | | | |
| 1 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან 500/300 (გრძმ 30) | კვ.მ | 58.00 | 24.00 | 1392.00 | 12.50 | 725.00 | 2117.00 |
| 2 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან 400/300 (გრძმ 17) | კვ.მ | 30.00 | 24.00 | 720.00 | 12.50 | 375.00 | 1095.00 |
| 3 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან 200/200 (გრძმ 6) | კვ.მ | 6.00 | 24.00 | 144.00 | 12.50 | 75.00 | 219.00 |
| 4 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან 800/300 (გრძმ 7) | კვ.მ | 19.00 | 24.00 | 456.00 | 12.50 | 237.50 | 693.50 |
| 5 | ჰაერსატარის თბოიზოლაცია 0,9 მმ სისქით | კვ.მ | 170.00 | 11.50 | 1955.00 | 1.00 | 170.00 | 2125.00 |
| 6 | რკინის სავენტილიაციო ცხაურა დიამეტრი 200 X 200 | ც | 15.00 | 28.00 | 420.00 | 7.00 | 105.00 | 525.00 |
| 7 | კალორიფერი წყლის 24კვტ თბური სიმძლავრით, სამსვლიანი სარქველით და მართვის პანელით. | ც | 1.00 | 650.00 | 650.00 | 125.00 | 125.00 | 775.00 |
| 8 | გოფრირებული ჰაერსატარი იზოლაციით 150 დ | გრძ.მ | 50.00 | 4.00 | 200.00 | 3.00 | 150.00 | 350.00 |
| 9 | მოდინებითი ვენტილიატორის მონტაჟი 2800 კუბ.მ./250პა | ც | 1.00 | 1200.00 | 1200.00 | 80.00 | 80.00 | 1280.00 |
| 10 | ხმაურდამხშობის მონტაჟი | ც | 1.00 | 300.00 | 300.00 | 25.00 | 25.00 | 325.00 |
| 11 | დამხმარე სამაგრი მასალები | კომპლ. | 2.00 | 200.00 | 400.00 | | | 400.00 |
| 12 | კედელში 200 X 200 ღიობის მონგრევა | ც | 15.00 | | | 10.00 | 150.00 | 150.00 |
| 13 | კედელში 800 X 300 ღიობის მონგრევა | ც | 1.00 | | | 20.00 | 20.00 | 20.00 |
| | **ჯამი** | | | | **7837.00** | | **2237.50** | **10074.50** |
| | **გამწოვი სისტემა რუსთავი** | | | | | | | |
| 1 | გამწოვი ვენტილატორის მონტაჟი2500 კუბ.მ./250 პა | ც | 1.00 | 1200.00 | 1200.00 | 60.00 | 60.00 | 1260.00 |
| 2 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან | კვ.მ | 58.00 | 25.00 | 1450.00 | 15.00 | 870.00 | 2320.00 |
| 3 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან 400/300 (გრძმ 17) | კვ.მ | 30.00 | 28.00 | 840.00 | 15.00 | 450.00 | 1290.00 |
| 4 | ჰაერსატარის დამზადება და მონტაჟი 0,55 მმ მოთუთიებულ ფურცლოვან ფოლადისაგან 800/300 (გრძმ 7) | კვ.მ | 19.00 | 28.00 | 532.00 | 15.00 | 285.00 | 817.00 |
| 5 | რკინის სავენტილაციო ცხაურა დემფერით 200 X 200 | ც | 15.00 | 28.00 | 420.00 | 7.00 | 105.00 | 525.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | გოფრირებული ჰაერსატარი იზოლაციის გარეშე 150 დ | გრძ.მ | 50.00 | 6.50 | 325.00 | 7.00 | 350.00 | 675.00 |
| 7 | ხმაურდამხშობის მონტაჟი | ც | 1.00 | 315.00 | 315.00 | 25.00 | 25.00 | 340.00 |
| 8 | გარე ცხაურის ( 600 X 300 ) მონტაჟი | ც | 1.00 | 50.00 | 50.00 | 7.00 | 7.00 | 57.00 |
| 9 | დამხმარე სამაგრი მასალები | კომპლ | 2.00 | 250.00 | 500.00 | | | 500.00 |
| 10 | კედელში 200 X 200 ღიობის მონგრევა | ც | 15.00 | | | 15.00 | 225.00 | 225.00 |
| 11 | კედელში 800 X 300 ღიობის მონგრევა | ც | 1.00 | | | 40.00 | 40.00 | 40.00 |
| 12 | პილოპროფილენის მინაბოჭკოვანი მილის მონტაჟი დ-32 | გრძ.მ | 20.00 | 3.50 | 70.00 | 2.00 | 40.00 | 110.00 |
| 13 | მილის სამონტაჟო ფიტინგები (მუფტა, ონკანი, ამერიკანკა) | კომპლ | 1.00 | 25.00 | 25.00 | 15.00 | 15.00 | 40.00 |
| | **ჯამი** | | | | **5727.00** | | **2472.00** | **8199.00** |
| | **შენობის ფასადი რუსთავი** | | | | | | | |
| 1 | კედლებიდან და ფერდოებიდან საღებავის მოხსნა ლავგარდენის ჩათვლით | კვმ | 289.66 | | | 1.00 | 289.66 | 289.66 |
| 2 | წყალშემკრები მილების დემონტაჟი | გრძ.მ | 70.40 | | | 1.00 | 70.40 | 70.40 |
| 3 | კარის ბლოკის დემონტაჟი | კვმ | 7.95 | | | 6.00 | 47.70 | 47.70 |
| 4 | ნალესის დემონტაჟი | კვმ | 18.00 | | | 2.50 | 45.00 | 45.00 |
| 5 | საცრემლეების და პარაპეტის დემონტაჟი | კვმ | 13.62 | | | 1.00 | 13.62 | 13.62 |
| 6 | პანდუსზე ქვის ფილების დემონტაჟი | კვმ | 15.34 | | | 2.00 | 30.68 | 30.68 |
| 7 | რკინის მოაჯირის დემონტაჟი | გრმმ | 11.18 | | | 2.00 | 22.36 | 22.36 |
| 8 | კედლების დამუშავება, შეფითხვნა და ღებვა ფასადის საღებავით ორჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით, ლავგარდენის ჩათვლით) | კვმ | 250.26 | 3.50 | 875.91 | 7.00 | 1751.82 | 2627.73 |
| 9 | პორტალის ჭერისა და წიბოების დამუშავება, შეფითხვნა და ღებვა ფასადის საღებავით ორჯერ, ფერი დამკვეთთან შეთანხმებით | კვმ | 10.05 | 3.50 | 35.18 | 7.00 | 70.35 | 105.53 |
| 10 | ფერდოების დამუშავება, შეფითხვნა და ღებვა ფასადის საღებავით ორჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით | კვმ | 39.40 | 3.50 | 137.90 | 7.00 | 275.80 | 413.70 |
| 11 | კედლების დეკორატიული ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით (არსებულის მსგავსი) | კვმ | 23.96 | 10.00 | 239.60 | 10.00 | 239.60 | 479.20 |
| 12 | ღობის კედლების დამუშავება, შეფითხვნა და ღებვა ფასადის საღებავით ორჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით, | კვმ | 21.48 | 3.50 | 75.18 | 7.00 | 150.36 | 225.54 |
| 13 | ჭიშკრის დამუშავება და ღებვა ნიტროსაღებავით ორჯერ | კვმ | 23.32 | 5.00 | 116.60 | 7.00 | 163.24 | 279.84 |
| 14 | იზოალუმინის ორფრთიანი არანაკლებ 9 სმ პროფილის შესასვლელი კარის მონტაჟი (სრული კომპლექტი) **(იხ.ნიმუში)** | კვმ | 7.95 | 385.00 | 3060.75 | 15.00 | 119.25 | 3180.00 |
| 15 | 100 მმ თუნუქის ფერადი წყალშემკრები მილის მოწყობა ფერი დამკვეთთან შეთანხმებით,0.5 მმ | გრმმ | 70.40 | 10.00 | 704.00 | 7.00 | 492.80 | 1196.80 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | ძაბრის მოწყობა ფერი დამკვეთთან შეთანხმებით, 0.5 მმ თუნუქით | ც | 5.00 | 25.00 | 125.00 | 7.00 | 35.00 | 160.00 |
| 17 | მუხლის მოწყობა ფერი დამკვეთთან შეთანხმებით ,0.5 მმ | ც | 15.00 | 6.00 | 90.00 | 5.00 | 75.00 | 165.00 |
| 18 | საცრემლეების მოწყობა ფერადი თუნუქით 0.5 მმ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 9.00 | 15.00 | 135.00 | 5.00 | 45.00 | 180.00 |
| 19 | არსებული პანდუსის საფუძველზე 7% დახრილობის პანდუსის მოწყობა ბ25 ბეტონით | კბმ | 3.75 | 150.00 | 562.50 | 125.00 | 468.75 | 1031.25 |
| 20 | არმატურა ა1 8მმ | ტონა | 0.275 | 1700.00 | 467.50 | 60.00 | 16.50 | 484.00 |
| 21 | პანდუსის ზედაპირის მოპირკეთება 20 მმ ბაზალტის ფილებით გვარდის ჩათვლით | კვმ | 24.50 | 30.00 | 735.00 | 25.00 | 612.50 | 1347.50 |
| 22 | პანდუსზე წრიული კვეთის მრგვალი კვეთის დიამეტრით 5სმ ქრომირებული ალუმინის გარე გამოყენების მოაჯირის მოწყობა H=90სმ | გრმმ | 37.70 | 90.00 | 3393.00 | 40.00 | 1508.00 | 4901.00 |
| 23 | ბეტონის ბორდიურის დემონტაჟი | გრმმ | 34.00 | | | 2.00 | 68.00 | 68.00 |
| 24 | ბაზალტის ბორდიურის მოწყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარზე 30*15 სმ | გრმმ | 34.00 | 30.00 | 1020.00 | 8.00 | 272.00 | 1292.00 |
| 25 | სარინელზე 2 სმ სისქის ქვიშა-ცემენტის ხსნარის მოწყობე და მოსარკვა | კვმ | 47.40 | 4.00 | 189.60 | 8.00 | 379.20 | 568.80 |
| 26 | რკინის ბოძების დემონტაჟი | ც | 18.00 | | | 6.00 | 108.00 | 108.00 |
| 27 | ბაზალტის დეკორატიული ბორდიურების მოწყობა **(იხ.საორენტაციო სურათი)** | ც | 18.00 | 40.00 | 720.00 | 6.00 | 108.00 | 828.00 |
| 28 | რკინის კარის დემონტაჟი დასაწყობებით | კვმ | 1.85 | | | 15.00 | 27.75 | 27.75 |
| 29 | იზოალუმინის არანაკლებ 9 სმ პროფილის კარის მონტაჟი (სრული კომპლექტი) **(იხ.ნიმუში)** | კვმ | 1.85 | 370.00 | 684.50 | 40.00 | 74.00 | 758.50 |
| 30 | ალუმინის ჟალუზების მოწყობა | კვმ | 1.85 | 50.00 | 92.50 | 7.00 | 12.95 | 105.45 |
| 31 | არსებული ფანჯრის გისოსების მოწყობა გაღებით, საკეტი, სრული კომპლექტი | ც | 19 | 30.00 | 570.00 | 25.00 | 475.00 | 1045.00 |
| 32 | გისოსების ღებვა ორჯერ ნიტრო საღებავით | კვმ | 48.59 | 3.00 | 145.77 | 6.00 | 291.54 | 437.31 |
| 33 | სახურავის ცეცხლდაცვა ხსნარით | კვმ | 1050.56 | 2.50 | 2626.40 | 1.00 | 1050.56 | 3676.96 |
| 34 | საგზაო ბოძის მოწყობა **(იხ.ნიმუში)** | ც | 4.00 | 50.00 | 200.00 | 15.00 | 60.00 | 260.00 |
| 35 | კერამოგრანიტის ფილების მოწყობა | კვმ | 14.85 | 30.00 | 445.50 | 15.00 | 222.75 | 668.25 |
| 36 | პარაპეტის მოწყობა ფერადი თუნუქით 0.5 მმ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 4.62 | 15.00 | 69.30 | 7.00 | 32.34 | 101.64 |
| 37 | მოცულობითი ასოების მოწყობა არანაკლებ 12სმ სიმაღლე ოქროსფერი ორაკალით, ორგმინა, ტრიმი | ც | 26 | 30.00 | 780.00 | 15.00 | 390.00 | 1170.00 |
| 38 | გარე სამონტაჟო დამზადებული ლაზერული პლასტიკით, ორგმინით და ორაკალით, საქართველოს სახელმწიფო გერბის მოწყობა სიგანით 55 სმ, სიმაღლით 60სმ. (დამკვეთთან შეთანხმებით) | ც | 1 | 500.00 | 500.00 | 50.00 | 50.00 | 550.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 39 | გრუნტის დამუშავება ხელით სადროშოების მოსაწყობად | კუბ.მ. | 0.25 | | | 25.00 | 6.25 | 6.25 |
| 40 | ღორღის საფუძვლის მოწყობა სადროშოების ბოძების მოსაწყობად 15 სმ | კუბ.მ. | 0.07 | 18 | 1.26 | 7.00 | 0.49 | 1.75 |
| 41 | ბ 25 ბეტონით სადროშოს ბოძების საძირკველის მოწყობა | კუბ.მ. | 0.18 | 125 | 22.50 | 80.00 | 14.40 | 36.90 |
| 42 | სადროშოს ბოძების მოწყობა 80მმ 3,5 მმ სისქის ლითონის მილებით 2 ცალი 4 გორგოლაჭის ჩათვლით | გრძ.მ. | 12 | 20 | 240.00 | 15.00 | 180.00 | 420.00 |
| 43 | დროშების საძირკვლის მოპირკეთება ბაზალტის 2 სმ სისქის ფილებით | კვმ | 0.36 | 30 | 10.80 | 50.00 | 18.00 | 28.80 |
| 44 | სადროშოს ბოძების დამუშავება და შეღებვა ნიტრო საღებავით ორჯერ | გრძ.მ. | 9 | 2 | 18.00 | 3.75 | 33.75 | 51.75 |
| 45 | გარე მიყენების ამსტრონგის სანათის მოწყობა სიმძლავრით არანაკლებ 45 ვტ | ც | 1 | 70 | 70.00 | 10.00 | 10.00 | 80.00 |
| 46 | ჩამრთველი | ც | 1.00 | 5 | 5.00 | 8.00 | 8.00 | 13.00 |
| 47 | 3 X 2,5 სადენის მონტაჟი | გრმმ | 4.20 | 3.25 | 13.65 | 1.25 | 5.25 | 18.90 |
| 48 | გარე ხარაჩოების მოწყობა | კვმ | 100 | 1 | 50.00 | 2.50 | 250.00 | 300.00 |
| 49 | კიბის გარე კედლების დამუშავება, შეფითხვნა და ღებვა ფასადის საღებავით ორჯერ (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით, ) | კვმ | 10.31 | 4 | 41.24 | 6.50 | 67.02 | 108.26 |
| | **ჯამი** | | | | **19269.14** | | **10758.64** | **30027.77** |
| | **შენობის სარემონტო სამუშაოები რუსთავი** | | | | | | | |
| 1 | ორმაგი თაბაშირმუყაოს საკედლე ტიხრის მონტაჟი შესაბამისი კარკასით და თბოიზოლაციით | კვმ | 10.65 | 12.00 | 127.80 | 10.00 | 106.50 | 234.30 |
| 2 | 10 სმ სისქის კედელში 0,9 X 2,0 ღიობის ამოღება | კუბ.მ. | 0.18 | | | 50.00 | 9.00 | 9.00 |
| 3 | რიობის ამოლესვა ქვიშაცემენტის ხსნარით | კვმ | 1.00 | 4.00 | 4.00 | 7.50 | 7.50 | 11.50 |
| 4 | ზღუდარის მოწყობა დ 18 არმატურით | გრმმ | 2.40 | 10.00 | 24.00 | 10.00 | 24.00 | 48.00 |
| 5 | მდფ-ის კარის მონტაჟი 0,9 X 2,0, საკეტით, სრული კომპლექტით, თამასის ჩათვლით, 10 სმ კედელზე | კვმ | 5.80 | 130.00 | 754.00 | 30.00 | 174.00 | 928.00 |
| 6 | როზეტის მონტაჟი | ც | 9.00 | 5.00 | 45.00 | 8.00 | 72.00 | 117.00 |
| 7 | ჩამრთველის მონტაჟი | ც | 1.00 | 5.00 | 5.00 | 8.00 | 8.00 | 13.00 |
| 8 | ინტერნეტ როზეტის მოწყობა თანმდევი სამუშაოებით და მასალებით | კომპ | 3.00 | 18.00 | 54.00 | 10.00 | 30.00 | 84.00 |
| 9 | 3 X 2,5 დენის სადენის მონტაჟი ნალესში | გრმმ | 15.00 | 3.25 | 48.75 | 1.25 | 18.75 | 67.50 |
| 10 | კედელზე არსებული შპალერის დემონტაჟი, კედლის დამუშავება ფითხით, ფრიზელინის გაკვრა და ღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 118.88 | 5.00 | 594.40 | 8.75 | 1040.20 | 1634.60 |
| 11 | ჭერის დამუშავება და ღებვა 2-ჯერ | კვმ | 39.48 | 2.50 | 98.70 | 7.00 | 276.36 | 375.06 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | ფანჯრის რაფის დამუშავება და ღებვა | კვმ | 1.02 | 5.00 | 5.10 | 8.00 | 8.16 | 13.26 |
| 13 | არსებული ლამინატის იატაკის დემონტაჟი და ახლის მონტაჟი | კვმ | 39.48 | 33.00 | 1302.84 | 6.00 | 236.88 | 1539.72 |
| 14 | ორმაგი თაბაშირმუყაოს საკედლე ტიხრის მონტაჟი შესაბამისი კარკასით და თბოიზოლაციით | კვმ | 21.30 | 25.00 | 532.50 | 8.75 | 186.38 | 718.88 |
| 15 | ამსტრონგის გარე მიყენების სანათის მონტაჟი არანაკლებ 45 ვტ, ლედ სანათი | ც | 3.00 | 95.00 | 285.00 | 8.75 | 26.25 | 311.25 |
| 16 | ამსტრონგის სანათის მონტაჟი არანაკლებ 45 ვტ, ლედ სანათი | ც | 4.00 | 55.00 | 220.00 | 8.00 | 32.00 | 252.00 |
| 17 | კარის რკინის ჟალუზის დემონტაჟი და მონტაჟი | ც | 1.00 | 25.00 | 25.00 | 62.50 | 62.50 | 87.50 |
| 18 | ფანჯრის რკინის ჟალუზის დემონტაჟი და მონტაჟი | ც | 1.00 | 25.00 | 25.00 | 62.50 | 62.50 | 87.50 |
| 19 | ჭერის დამუშავება შეფითხვნა და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ | კვმ | 6.16 | 2.50 | 15.40 | 6.50 | 40.04 | 55.44 |
| 20 | კედლების დამუშავება და ღებვა წყალემულსიური საღებავით ორჯერ ფერდოების ჩათვლით | კვმ | 32.45 | 2.50 | 81.13 | 6.50 | 210.93 | 292.05 |
| 21 | 4 დარბაზის კარის ირგვლივ 18 მმ მდფ-ის ფილებით კარნიზისა და თასმების მოწყობა (ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 2.60 | 35.00 | 91.00 | 40.00 | 104.00 | 195.00 |
| 22 | იატაკის ალუმინის გადმყვანი | გრძმ | 5.00 | 4.00 | 20.00 | 1.00 | 5.00 | 25.00 |
| 23 | სპლიტ კონდიციონერის მონტაჟი **(კონდენციონერის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ)** | კომპ | 3 | | | 200.00 | 600.00 | 600.00 |
| | **ჯამი** | | | | **4358.62** | | **3340.94** | **7699.56** |
| | **ინკლუზიური ტუალეტის მოწყობა რუსთავი (იხ.ნიმუში)** | | | | | | | |
| 1 | კარის ბლოკის დემონტაჟი | კვმ | 3.96 | | | 7.00 | 27.72 | 27.72 |
| 2 | ტიხრების დემონტაჟი | კუბმ | 1.42 | | | 7.00 | 9.94 | 9.94 |
| 3 | კედლებიდან ფილისა და ნალესის მოხსნა | კვმ | 40.98 | | | 3.00 | 122.94 | 122.94 |
| 4 | შეკიდული ჭერის დემონტაჟი | კვმ | 11.60 | | | 3.00 | 34.80 | 34.80 |
| 5 | უნიტაზების დემონტაჟი | ც | 2.00 | | | 7.00 | 14.00 | 14.00 |
| 6 | ხელსაბანის დემონტაჟი | ც | 2.00 | | | 7.00 | 14.00 | 14.00 |
| 7 | წყალგაყვანილობის სისტემის დემონტაჟი | კვმ | 11.60 | | | 1.00 | 11.60 | 11.60 |
| 8 | იატაკზე კერამიკული ფილის და მოჭიმვის დემონტაჟი | კვმ | 11.60 | | | 2.50 | 29.00 | 29.00 |
| 9 | ქვიშა-ცემენტით იატაკის 4 სმ-იანი მჭიმის მოწყობა | კვმ | 11.60 | 4.00 | 46.40 | 6.00 | 69.60 | 116.00 |
| 10 | იატაკზე ხაოიანი ფილის მონტაჟი | კვმ | 11.60 | 27.00 | 313.20 | 15.00 | 174.00 | 487.20 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ნესტგამძლე თაბაშირმუყაოს ორმაგი ფილის მოწყობა დათბუნებით | კვმ | 11.40 | 12.00 | 136.80 | 8.00 | 91.20 | 228.00 |
| 12 | კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | კვმ | 40.98 | 4.00 | 163.92 | 7.50 | 307.35 | 471.27 |
| 13 | კედლებზე კერამიკული ფილის მოწყობა | კვმ | 58.78 | 25.00 | 1469.50 | 15.00 | 881.70 | 2351.20 |
| 14 | ჭერის მოწყობა არმსტრონგის ნესტგამძლე ფილით | კვმ | 11.60 | 14.00 | 162.40 | 7.00 | 81.20 | 243.60 |
| 15 | მდფ-ის კარის მოწყობა 0,9 X 2,2 საკეტით, სრული კომპლექტი, თამასის ჩათვლით, | კვმ | 1.98 | 130.00 | 257.40 | 30.00 | 59.40 | 316.80 |
| 16 | მდფ-ის კარის მოწყობა 1,0 X 2,2 საკეტით, სრული კომპლექტი, თამასის ჩათვლით, | კვმ | 2.20 | 130.00 | 286.00 | 30.00 | 66.00 | 352.00 |
| 17 | კარის ღიობის გაგანიერება | კუბმ | 0.33 | | | 50.00 | 16.50 | 16.50 |
| 18 | კარის ღიობის თავზე ზღუდარის მოწყობა რკინაბეტონით | კუბ.მ | 0.10 | 185.00 | 18.50 | 125.00 | 12.50 | 31.00 |
| 19 | უნიტაზის მოწყობა ( სრული კომპლექტი ) | ც | 1.00 | 245.00 | 245.00 | 37.50 | 37.50 | 282.50 |
| 20 | ხელსაბანის მოწყობა | ც | 1.00 | 150.00 | 150.00 | 37.50 | 37.50 | 187.50 |
| 21 | ინკლუზიური უნიტაზის მოწყობა (სრული კომპლექტი ) | ც | 1.00 | 425.00 | 425.00 | 125.00 | 125.00 | 550.00 |
| 22 | ინკლუზიური ხელსაბანის მოწყობა ( სრული კომპლექტი ) | ც | 1.00 | 525.00 | 525.00 | 125.00 | 125.00 | 650.00 |
| 23 | ხელსაბანი ონკანის მოწყობა | ც | 1.00 | 50.00 | 50.00 | 6.25 | 6.25 | 56.25 |
| 24 | ინკლუზიური ხელსაბანი ონკანის მოწყობა | ც | 1.00 | 85.00 | 85.00 | 6.25 | 6.25 | 91.25 |
| 25 | ფოლადის ტრაპის მოწყობა სიფონით | ც | 2.00 | 50.00 | 100.00 | 12.50 | 25.00 | 125.00 |
| 26 | კანალიზაციის მილის დ 100 მონტაჟი | გრძმ | 4.80 | 6.00 | 28.80 | 1.25 | 6.00 | 34.80 |
| 27 | კანალიზაციის მილის დ 50 მონტაჟი | გრძმ | 10.00 | 2.50 | 25.00 | 1.25 | 12.50 | 37.50 |
| 28 | პოლიპროპილენის დ20 მილის მონტაჟი | გრძმ | 18.00 | 1.70 | 30.60 | 1.25 | 22.50 | 53.10 |
| 29 | არკოს ონკანი | ც | 4.00 | 10.00 | 40.00 | 1.25 | 5.00 | 45.00 |
| 30 | დრეკადი მილი | ც | 4.00 | 4.50 | 18.00 | 1.25 | 5.00 | 23.00 |
| 31 | ფასონური ნაწილების მონტაჟი | ც | 32.00 | 2.00 | 64.00 | 0.25 | 8.00 | 72.00 |
| 32 | არსებული რადიატორის დემონტაჟი-მონტაჟი ( თანმდევი სამუშაოებით ) | ც | 2.00 | | | 50.00 | 100.00 | 100.00 |
| 33 | არმსტრონგის ლედ სანათის მონტაჟი არანაკლებ 40 ვ | ც | 3.00 | 60.00 | 180.00 | 8.75 | 26.25 | 206.25 |
| 34 | ჩამრთველი | ც | 2.00 | 5.00 | 10.00 | 8.75 | 17.50 | 27.50 |
| 35 | 3 X 2,5 სადენის მონტაჟი | გრძმ | 20.00 | 3.25 | 65.00 | 1.25 | 25.00 | 90.00 |
| 36 | 0 სართულის სველ წერტილებში კაფელის დემონტაჟი | კვმ | 4.00 | | | 2.00 | 8.00 | 8.00 |
| 37 | საკანალიზაციო მილის დემონტაჟი | გრძმ | 5.00 | | | 1.000 | 5.00 | 5.00 |
| 38 | საკანალიზაციო მილის მონტაჟი არსებული დიამეტრის | გრძმ | 5.00 | 6.00 | 30.00 | 1.00 | 5.00 | 35.00 |
| 39 | ფასონური ნაწილები | ც | 6.00 | 2.00 | 12.00 | 1.00 | 6.00 | 18.00 |
| 40 | არსებულის მსგავსი კერამოფილების მოწყობა | კვმ | 4.00 | 30.00 | 120.00 | 12.50 | 50.00 | 170.00 |
| 41 | საკანალიზაციო მილის გაწმენდა | გრძმ | 6.00 | | | 25.00 | 150.00 | 150.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯამი | | | | 5057.52 | | 2837.70 | 7895.22 |
| | საბადრაგოს სარემონტო სამუშაოები რუსთავი | | | | | | | |
| 1 | კედლის დამუშავება, შეფითხვა და ღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 854.00 | 2.30 | 1964.20 | 7.30 | 6234.20 | 8198.40 |
| 2 | ჭერის დამუშავება, შეფითხვა და ღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 268.30 | 2.30 | 617.09 | 7.30 | 1958.59 | 2575.68 |
| 3 | რკინის კარებზე ლითონის 2 მმ ფურცლის მოწყობა (სარკმელების გათვალისწინებით ანჯამები, საკეტი, საკნის აღმნიშვნელი ნომერაციის სტიკერით**(იხ.ნიმუში თანდართულ ფაილებში))** | კვმ | 28.80 | 60.00 | 1728.00 | 25.00 | 720.00 | 2448.00 |
| 4 | რკინის კარების დამუშავება და ღებვა ნიტრო საღებავით ორჯერ(ფერი დამკვეთთან შეთანხმებით) | კვმ | 83.80 | 5.00 | 419.00 | 6.25 | 523.75 | 942.75 |
| 5 | ტუალეტის ჭერზე კანალიზაციის დ-100 მილების დაშლა, აწყობა ახალ რეზინებზე და გამაგრება | კვანძი | 2.00 | 6.00 | 12.00 | 2.50 | 5.00 | 17.00 |
| 6 | ტუალეტში თაბაშირმუყაოს ჭერის მოწყობა, კარკასით და ორმაგი თაბაშირმუყაოთი | კვმ | 10.68 | 10.00 | 106.80 | 6.25 | 66.75 | 173.55 |
| 7 | ტუალეტის ჭერის დამუშავება, შეფითხვა და ღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვ | 10.68 | 2.20 | 23.50 | 6.25 | 66.75 | 90.25 |
| 8 | კედელზე კერამიკული ფილის შეცვლა | კვმ | 4.00 | 30.00 | 120.00 | 12.50 | 50.00 | 170.00 |
| 9 | იატაკზე კერამიკული ფილის შეცვლა | კვმ | 2.00 | 30.00 | 60.00 | 12.50 | 25.00 | 85.00 |
| 10 | ანტივანდალური სანათების მონტაჟი, არანაკლებ 20 ვატი | ც | 40.00 | 40.00 | 1600.00 | 8.75 | 350.00 | 1950.00 |
| 11 | სკამების კედლების მოწყობა სამშენებლო ბლოკით | კუბმ | 6.00 | 85.00 | 510.00 | 37.50 | 225.00 | 735.00 |
| 12 | სკამების კედლების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით | კვმ | 30.00 | 4.00 | 120.00 | 7.50 | 225.00 | 345.00 |
| 13 | ამოშენებული ბლოკის ღიობების შევსება ბალასტით | კბმ | 10.00 | 12.50 | 125.00 | 6.25 | 62.50 | 187.50 |
| 14 | ამოშენებული ბლოკის ღიობების თავზე 8 სმ სისქის ბ 25 ბეტონის ფილის მოწყობა | კბმ | 2.40 | 185.00 | 444.00 | 125.00 | 300.00 | 744.00 |
| 15 | ბეტონის თავზე 18 მმ სისქის მდფ-ის ფილის მოწყობა | კვმ | 30.00 | 32.00 | 960.00 | 12.50 | 375.00 | 1335.00 |
| 16 | დენის ჩამრთველის მონტაჟი | ც | 23.00 | 5.00 | 115.00 | 8.75 | 201.25 | 316.25 |
| 17 | დენის როზეტის მონტაჟი | ც | 5.00 | 5.00 | 25.00 | 8.75 | 43.75 | 68.75 |
| 18 | სპილენძის 1,5 X 2 სადენი ორმაგი იზოლაციით, ნალესსი ჩასმით | მ | 467.00 | 1.50 | 700.50 | 0.625 | 291.88 | 992.38 |
| 19 | კაბელის გატარება გოფრში LAN FTP CAT 6 | გრძმ | 467 | 0.50 | 233.50 | 0.625 | 291.88 | 525.38 |
| 20 | გოფრირებული მილების მოწყობა ელ. სადენის გასატარებლად | გრძმ | 467 | 0.51 | 238.17 | 0.250 | 116.75 | 354.92 |
| 21 | ტუალეტის კარის ღებვა | კვმ | 7.92 | 4.00 | 31.68 | 6.25 | 49.50 | 81.18 |
| 22 | იატაკის მოხეხვა-მოპრიალება | კვმ | 238.3 | 5.00 | 1191.50 | 7.50 | 1787.25 | 2978.75 |
| 23 | იატაკის ღებვა ქვის ლაქით | კვმ | 238.3 | 2.50 | 595.75 | 3.75 | 893.63 | 1489.38 |
| 24 | გამანაწილებელი ფარის და მასში მოწყობილი ავტომატების დემონტაჟი და ხელახლა მონტაჟი | ც | 1 | | | 62.50 | 62.50 | 62.50 |
| 25 | კაბელარხის მონტაჟი 40 X 40 | გრძმ | 2 | 1 | 2.00 | 1.00 | 2.00 | 4.00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ჯამი** | | | | **11942.69** | | **14927.92** | **26870.60** |
| | **კიბის უჯრედის რემონტი რუსთავი** | | | | | | | |
| 1 | კედლის დამუშავება-შეფითხვნა დაღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 138.14 | 2.20 | 303.91 | 6.50 | 897.91 | 1201.82 |
| 2 | ჭერის და კიბის მარშების დამუშავება-შეფითხვნა და ღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 67.57 | 2.20 | 148.65 | 6.50 | 439.21 | 587.86 |
| 3 | კიბის ლითონის  მოაჯირის დამუშავება-ღებვა | კვმ | 31.50 | 2.20 | 69.30 | 6.00 | 189.00 | 258.30 |
| 4 | ანტივანდალური სანათების მონტაჟი, არანაკლებ 20 ვატი | ც | 9.00 | 60.00 | 540.00 | 8.00 | 72.00 | 612.00 |
| | **ჯამი** | | | | **1061.86** | | **1598.12** | **2659.98** |
| | **წინაფრის რემონტი რუსთავი** | | | | | | | |
| 1 | ჭერზე შეკიდული პლასტიკატის დემონტაჟი | კვმ | 12.34 | | | 1.00 | 12.34 | 12.34 |
| 2 | ჭერზე ბეტოპანის მონტაჟი | კვმ | 16.37 | 22.00 | 360.14 | 7.50 | 122.78 | 482.92 |
| 3 | ბეტოპანის დამუშავება-შეფითხვნა ფასადის ფითხით და ღებვა ფასადის წყალემულსიური საღებავით | კვმ | 16.37 | 2.20 | 36.01 | 6.50 | 106.41 | 142.42 |
| 4 | ანტივანდალური სანათების მონტაჟი, არანაკლებ 20 ვატი | ც | 2.00 | 40.00 | 80.00 | 8.00 | 16.00 | 96.00 |
| 5 | რკინის კონსტრუქციის დამუშავება-ღებვა 2-ჯერ | კვმ | 2.00 | 3.00 | 6.00 | 6.50 | 13.00 | 19.00 |
| 6 | ბეტონის კედლის დამუშავება-შეფითხვნა ფასადის ფითხით და ღებვა ფასადის წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 29.72 | 3.00 | 89.16 | 6.50 | 193.18 | 282.34 |
| 7 | ნაგვის გატანა | ტ | 6.95 | | | 25.00 | 173.75 | 173.75 |
| | **ჯამი** | | | | **571.31** | | **637.45** | **1208.76** |
| | **გარდაბნის სასამართლო** | | | | | | | |
| 1 | კედლის ამოშენება საკედლე ბლოკით  20 X 40 | კუბ.მ. | 2.34 | 85.00 | 198.90 | 40.00 | 93.60 | 292.50 |
| 2 | კარის ღიობის თავზე ზღუდარის მოწყობა რკინაბეტონით | ტ | 0.05 | 200.00 | 10.00 | 125.00 | 6.25 | 16.25 |
| 3 | ლითონის კარის მოწყობა  საკეტით, ბოქლომით და სარკმელით (საკეტით, ანჯამებით, სრული კომპლექტი) 2 მმ თუნუქის ფურცლით. | კვმ | 1.80 | 300.00 | 540.00 | 25.00 | 45.00 | 585.00 |
| 4 | ლითონის კარის დამუშავება-ღებვა 2-ჯერ | კვმ | 3.60 | 3.00 | 10.80 | 7.00 | 25.20 | 36.00 |
| 5 | კედლის ლესვა ქვიშაცემენტის ხსნარით | კვმ | 13.50 | 4.00 | 54.00 | 7.50 | 101.25 | 155.25 |
| 6 | კედლის დამუშავება ფითხით და ღებვა წყალემულსიური საღებავით 2-ჯერ | კვმ | 25.20 | 2.50 | 63.00 | 6.50 | 163.80 | 226.80 |
| 7 | სკამების კედლების მოწყობა სამშენებლო ბლოკით | კუბ.მ. | 0.44 | 80.00 | 35.20 | 40.00 | 17.60 | 52.80 |
| 8 | ამოშენებული ბლოკის ღიობების შევსება ბალასტით | კბმ | 0.63 | 12.50 | 7.88 | 7.00 | 4.41 | 12.29 |
| 9 | ამოშენებული ბლოკის ღიობების თავზე 12 სმ სისქის ბ 25 ბეტონის ფილის მოწყობა | კბმ | 0.26 | 150.00 | 39.00 | 120.00 | 31.20 | 70.20 |
| 10 | ბეტონის თავზე 18 მმ სისქის მდფ-ის ფილის მოწყობა | კვმ | 0.90 | 30.00 | 27.00 | 15.00 | 13.50 | 40.50 |
| 11 | არმსტრონგის ჭერის დემონტაჟი | კვმ | 4.50 | | | 1.00 | 4.50 | 4.50 |
| 12 | ჭერზე თაბაშირმუყაოს აკვრა წებოცემენტზე | კვმ | 4.50 | 6.00 | 27.00 | 6.00 | 27.00 | 54.00 |
| 13 | ჭერის დამუშავება-შეფითხვნა და ღებვა წყალემულსიითი 2-ჯერ | კვმ | 4.50 | 2.20 | 9.90 | 6.50 | 29.25 | 39.15 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | ანტივანდალური სანათების მონტაჟი, არანაკლებ 20 ვატი | ც | 1.00 | 40.00 | 40.00 | 10.00 | 10.00 | 50.00 |
| 15 | საბადრაგოს კიბესთან ლითონის კარის მონტაჟი (საკეტით, ანჯამებით, სრული კომპლექტი) 2 მმ თუნუქის ფურცლით | კვმ | 4.40 | 200.00 | 880.00 | 20.00 | 88.00 | 968.00 |
| 16 | რკინის კარის დამუშავება და ღებვა ორივე მხრიდან 2-ჯერ | კვმ | 8.80 | 4.00 | 35.20 | 6.00 | 52.80 | 88.00 |
| 17 | რკინის კარის დემონტაჟი დასაწყობებით | კვმ | 2.18 | | | 12.50 | 27.25 | 27.25 |
| 18 | იზოალუმინის არანაკლებ 9 სმ პროფილის კარის მონტაჟი (სრული კომპლექტი) **(იხ.ნიმუში)** | კვმ | 2.18 | 320.00 | 697.60 | 20.00 | 43.60 | 741.20 |
| 19 | ალუმინის ჟალუზების მოწყობა | კვმ | 2.18 | 55.00 | 119.90 | 7.00 | 15.26 | 135.16 |
| 20 | არსებული ფანჯრის გისოსების მოწყობა გაღებით, საკეტი, სრული კომპლექტი | ც | 5 | 40.00 | 200.00 | 25.00 | 125.00 | 325.00 |
| 21 | გისოსების ღებვა ორჯერ ნიტრო საღებავით | კვმ | 10.8 | 2.00 | 21.60 | 4.00 | 43.20 | 64.80 |
| 22 | საბადრაგოში არსებული რკინის კარის შებრუნება გარე გაღებით თანმდევი სამუშაოებით | კვმ | 2 | 15.00 | 30.00 | 25.00 | 50.00 | 80.00 |
| 23 | შესასვლელი იზოსლუმინის კარის შემობრუნება გარე გაღებით თანმდევი სამუშაოებით | კვმ | 3.48 | 15.00 | 52.20 | 25.00 | 87.00 | 139.20 |
| 24 | სახურავის ცეცხლდაცვა ხსნარით | კვმ | 155.32 | 2.038 | 316.54 | 1.00 | 155.32 | 471.86 |
| 25 | რკინის კარის თავზე მეტალოპლასტმასის ფრამუგის მოწყობა | კვმ | 1.60 | 130.00 | 208.00 | 10.00 | 16.00 | 224.00 |
| 26 | კაბელ არხის მოწყობა | მ | 45.00 | 1.00 | 45.00 | 1.00 | 45.00 | 90.00 |
| 27 | ელექტრო ფარების მოწყობა შესაბამისი ავტომატებით | კომპ | 3.00 | 205.00 | 615.00 | 30.00 | 90.00 | 705.00 |
| 28 | ნაგვის გატანა | ტ | 0.20 | | | 30.00 | 6.00 | 6.00 |
| | **ჯამი** | | | | **4283.72** | | **1416.99** | **5700.71** |
| | **სულ ჯამი** | | | | **60108.85** | | **40227.25** | **100336.09** |
| | **ზედნადები ხაეჯები არაუმეტეს 10%** | 7% | | | | | | **7023.53** |
| | **ჯამი** | | | | | | | **107359.62** |
| | **გეგმიური დაგროვება არაუმეტეს 8%** | 6% | | | | | | **6441.58** |
| | **ჯამი** | | | | | | | **113801.20** |
| | **გაუთვალისწინებელი ხარჯი 5%** | 5% | | | | | | **5690.06** |
| | **ჯამი** | | | | | | | **119491.26** |
| | **დღგ 18 %** | 18% | | | | | | **21508.43** |
| | **სულ ჯამი** | | | | | | | **140999.68** |